განკარგულება:**g-63. 632435913**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი "თავი III მუხლის 16 პუნქტი მე-2 ,,ტ"-ქვეპუნქტისა და თავი IV მუხლი 24 პუნქტი 2, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გადაწყვიტა:

1. დამტკიცებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის პროგრამა (დანართი 1).
2. დამტკიცებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის შემოსავალი (დანართი 2).
3. დამტკიცებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის ხარჯი (დანართი 3).
4. დამტკიცებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის საშტატო განრიგი (დანართი 4).
5. დამტკიცებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს პედაგოგთა განაკვეთი სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით (დანართი 5).

დანართი N1

ა.ა.ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა(05020107)

(2025 წელი)

1. პროგრამა:

სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარება და პოპულარიზაცია

2.პროგრამული კოდი: 05020107

პროგრამის განმახორციელებელი :ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა.

3.პროგრამის აღწერა და მიზანი: ა.ა.ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა არის ორგანიზაციულ- სამართლებრივი ფორმით შექმნილი სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სახელოვნებო სამხატვრო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე საფეხურზე. იგი ახორციელებს კულტურულ- საგანმანათლებლო და სახელოვნებო სამხატვრო პროგრამებს, როგორც პროფესიონალ მხატვართათვის ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. სამხატვრო სკოლის მიზანია მისცეს ახალგაზრდებს სახელოვნებო განათლება. გამოუმუშაოს მოსწავლეებს სამყაროს მხატვრული აღქმის უნარ-ჩვევები. გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა,ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. მაქსიმალურად იყოს ჩართული სკოლის აღსაზრდელები მუნიციპალიტეტსა თუ სხვადასხვა ქალაქებში გამართულ გამოფენებში.სწავლების ხანგრძლივობა 6 წელი.სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების მიზნით ჩატარდეს გამოფენები, როგორც საერთო, ასევე პერსონალური. მხატვართა დაინტერესებისა და სტიმულისათვის მოეწყოს გამოფენა - გაყიდვები. სამხატვრო სკოლა გალერეას მიზანია ხელი შეუწყოს არა მარტო ადგილობრივი მხატვრების, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან მოწვეულ ხელოვანთა შემოქმედების პროპაგანდას. სამხატვრო სკოლა-გალერეა მიზნად ისახავს ასევე სამხატვრო სკოლის აღსაზრდელების შემეცნებით - შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვას (ექსკურსიებზე გაყვანა მუზეუმებსა და გალერეებში) პრაქტიკული გაკვეთილები პლენერზე (ქალაქგარეთ გასვლა). დამეგობრებულ სამხატვრო სკოლებსა და სტუდიებთან გაცვლითი ღონისძიებების ჩატარება (გამოფენები, კონკურსები, პლენერი, მასტერკლასები). ჩატარდეს „საღამო გახსენებები“ სადაც პატივი მიეგება აწ გარდაცვლილ მხატვრებს, რომლებიც წლების მანძილზე ემსახურებოდნენ ქართული კულტურისა და ხელოვნების, კერძოდ სახვითი ხელოვნების განვითარებას, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. დაფინანსების შემთხვევაში განახლდეს გალერეაში არსებული ფერწერული ტილოების ფონდი, რაც გულისხმობს, ახალი, თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების შეძენას და ამავდროულად გალერეას ფონდში დღემდე არსებული ფერწერული ტილოების აღდგენა-რესტავრაციას.გალერეას მიზანია მოიწვიოს ჩვენი ქვეყნის დამსახურებული მხატვრები და სპეციალისტები, რათა მოეწყოს შეხვედრები სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოღვაწე პროფესიონალ მხატვრებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. შესაბამისად ჩატარდეს სიმპოზიუმები სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მხატვრების შემოქმედებითი დონის ამაღლების მიზნით. მხატვართა მატერიალური დაინტერესების მიზნით მოაწყოს გამოფენა- გაყიდვები.შექმნას თითოეული მხატვრის შემოქმედებაზე საინფორმაციო მასალები, ინტერნეტ- გვერდები და იზრუნოს მათი შემოქმედების საერთაშორისო არენაზე გასატანად.

4. მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

1. მოზარდი თაობის ინტერესები და არჩევანი ხელოვნების, კერძოდ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართ.

2. მუნიციპალიტეტში მოღვაწე პროფესიონალი მხატვრების გაერთიანებას, მათი შემოქმედების პროპაგანდას და მათ ჩართულობას ქვეყნის კულტურულ-

საგანმანათლებლო და სახელოვნებო სფეროში.

5.მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სამტრედიაში მოღვაწე მხატვრების შემოქმედების გაცნობა საზოგადოებისათვის.

შიდა სასკოლო და მუნიციპალურ ღონისძიებებში ჩართულობა.

სხვადასხვა ქალაქებში გამართულ გამოფენა-კონკურსებში და ფესტივალებში მონაწილეობა.

დანართი N2

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას'' შემოსავალი

დასახელება	თანხა (ათას ლარებში)
სუბსიდია	97.6
სულ შემოსავალი	**97.6**

დანართი N 3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა"-ს 2025 წლის ხარჯი (ათას ლარებში)

	ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები
a	1	050201 07	ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა	97.6	97.6
a	2		მომუშავეთა რიცხოვნობა	13	13
a	2 2		ხარჯები	97.6	97.6
a	2 2.1		შრომის ანაზღაურება	85.80	85.80
a	3 2.2		საქონელი და მომსახურება	11.80	11.80

დანართი N 4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (ლარი)

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	შრომის ანაზღაურება 1 თვის	წლიური სახელფასო ფონდი
1.	დირექტორი.	1	1090	13 080
2.	მთავარი სპეციალისტი.	1	440	5 280
3.	წამყვანი სპეციალისტი.	1	392	4704
4.	ბუღალტერი	1	1046	12 552
5.	მხატვარ-რესტავრატორი.	1	392	4 704
6.	ფონდების მცველი	1	440	5 280
7.	მნე	1	605	7 260
8.	დამლაგებელი	1	278	3 336
9.	სპეციალისტი.	1	250	3 000
10.	პედაგოგი	4	2210	26 520
	სულ	**13**	**7148**	**85 776**

დანართი N5

ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას პედაგოგთა განაკვეთი სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით

განათლება,კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება	მოსწავლეთა რაოდენობა		
5 წლამდე სამუშაო გამოცდილება	<15	15><25	25<
საშუალო სპეციალური	250	230	200
სპეციალური საშუალო განათლება	270	250	220
ბაკალავრიატი	290	270	240
მაგისტრატურა	310	290	260
კანდიდატი/დოქტორი	330	310	280
5-დან 10 წლამდე სამუშაო გამოცდილება			
საშუალო სპეციალური	275	240	220
სპეციალური საშუალო განათლება	305	260	240
ბაკალავრიატი	330	280	260

მაგისტრატურა	370	300	280
კანდიდატი/დოქტორი	380	320	300
10 წლის ზემოთ სამუშაო გამოცდილება			
საშუალო სპეციალური	303	275	240
სპეციალური საშუალო განათლება	335	305	260
ბაკალავრიატი	365	330	280
მაგისტრატურა	405	370	300
კანდიდატი/დოქტორი	420	380	320

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი